ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02-02/10

ქ. თბილისი 31. 01. 2013

## ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის; ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის მე-4 და მე-5 მუხლების; ამავე უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (1/81, 22.01.2013), სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (1/87, 23.01.2013) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების წარდგინებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისათვის 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების) შესაბამისად:
   - 1.1. ინფორმატიკის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)
     - 1.1.1. ინფორმატიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა, IV სემესტრი) - 5 ადგილი;
     - 1.1.2. მათემატიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა, IV სემესტრი) - 5 ადგილი;

1.2. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.2.1. ფსიქოლოგიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 2 ადგილი (II სემესტრი), 3 ადგილი (IV სემესტრი);

2. 2012 - 2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

2.1. მსურველთა განცხადებების (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლითურთ) მიღება საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურში - 1 - 8 თებერვალი;

2.2. კრედიტების აღიარება ,მიმღები სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ - 11 - 16 თებერვალი;

2.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისათვის - 18 თებერვალი;

2.4. სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 21 თებერვალი;

2.5. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 22-23 თებერვალი;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანების ასლი შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე